აპარატების ტექნიკური მახასიათებლები და მათი სპეციფიკაცია

1. მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების შემდგომ, გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს სსიპ - იუსტიციის სახლის ფილიალის, თბილისის იუსტიციის სახლის შენობაში 9 ერთეული სავაჭრო ელექტრონული აპარატის განთავსება და მონტაჟი. კერძოდ, განსათავსებელ აპარატებს შორის უნდა იყოს 6 ერთეული კომბინირებული აპარატი (ყავის და სნეკის) და 3 ერთეული სავაჭრო (სნეკის) აპარატი.

2. სავაჭრო ელექტრონული აპარატების მინიმალური მოთხოვნები:

ა) კომბინირებული (ყავის და სნეკის) აპარატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- მინიმუმ 30 პროდუქტის თარო;
- მინიმუმ 12 სახეობის ცხელი სასმელი (ყავა, ჩაი და ცხელი შოკოლადი);
- პროდუქტის შენახვა შესაბამის ტემპერატურაზე;
- მონეტის მიმღები მოწყობილობა;
- ქაღალდის ბანკნოტების მიმღები მოწყობილობა;
- ხურდის დაბრუნების ფუნქცია;
- აპარატი არ უნდა იკავებდეს 1,5 კვ.მ-ზე მეტს;
- სიმაღლე არაუმეტეს 190 სმ;
- ქაღალდის ფულის მიმღები უნდა იღებდეს 5 ლარიან ბანკნოტებს (ძველი და ახალი ემისიის);
- მონეტის მიმღები უნდა იღებდეს შემდეგი სახის მონეტებს: 5 თეთრიანს, 10 თეთრიანს, 20 თეთრიანს და 50 თეთრიანს.

ბ) სავაჭრო (სნეკის) აპარატის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- მინიმუმ 30 პროდუქტის თარო;
- პროდუქტის შენახვა შესაბამის ტემპერატურაზე;
- მონეტის მიმღები მოწყობილობა;
- ქაღალდის ბანკნოტების მიმღები მოწყობილობა;
- ხურდის დაბრუნების ფუნქცია;
- აპარატი არ უნდა იკავებდეს 1 კვ.მ-ზე მეტს;
- სიმაღლე არაუმეტეს 190 სმ;
- ქაღალდის ფულის მიმღები უნდა იღებდეს 5 ლარიან ბანკნოტებს (ძველი და ახალი ემისიის);
- მონეტის მიმღები უნდა იღებდეს შემდეგი სახის მონეტებს: 5 თეთრიანს, 10 თეთრიანს, 20 თეთრიანს და 50 თეთრიანს;

3. კონკრეტული სახის ელექტრონული სავაჭრო აპარატების განთავსების ადგილები და რაოდენობა:

სართული	**კომბინირებული (Coffee & Snack)**	**სავაჭრო (Snack)**
ნულოვანი	სველ წერტილთან	
	შეხვედრების ოთახთან	
		4-5 სივრცეებს შორის
		9-10 სივრცეებს შორის
	თანამშრომლების სამზარეულოში	
1	თანამშრომლების სამზარეულოსთან	
2	თანამშრომლების სამზარეულოსთან	
		სასადილოში
3	თანამშრომლების სამზარეულოსთან	